გამომიკვებავს ცრემლებით, ნალვლით
ეს მისწრაფება იდუმალ, ღამით,
სწორედ ამ სწრაფვას დღეს სითამამით
ცის და ქვეყნის წინ ვაცხადებ, კმარა...
და პატიებას არ ვითხოვ, არა.

4

„მოხუცო, ხშირად მაქვს მონასმენი,
რომ სიკვდილისგან შენ დამიხსენი.
რისთვის? ქუხილში ხეს მოგლეჯილი
ერთი ფოთოლი, დღემოკლე, ჩვილი,
ვიზარდე ტაძრის ბნელ გალავანში
მე ბედით ბერი და სულით ბავშვი,
წმინდა სიტყვები: „დედა“ ან „მამა“
აქ ვერვის ვუთხარ გულნალვლიანმა.
მოხუცო, ვიცი, შენაც გენება
ამ სავანეში ტკბილი ხსენება
დამეწყებოდა ჩემს მახლობელთა;
ამაოდ... იშვენ თვით ჩემთან ერთად
იგი სიტყვები. ვხედავდი სხვათა
სახლს, მამულს, ნაცნობს და ნათესავთა.
მე კი, არათუ ძვირფასთა სახე,
მათი საფლავიც კი ვერა ვნახე.
არ დამიღვრია ამაოდ ცრემლი
და გულში ფიცი წარმოვთქვი წყევლით:
ოდესმე ჩემი მხურვალე მკერდით,
დე, ყოფილიყო ეს წუთი ერთი,

Я эту страсть во тьме ночной
Вскормил слезами и тоской;
Ее пред небом и землей
Я ныне громко признаю
И о прощенье не молю.

4
Старик! я слышал много раз,
Что ты меня от смерти спас -
Зачем?.. Угрюм и одинок,
Грозой оторванный листок,
Я вырос в сумрачных стенах
Душой дитя, судьбой монах.
Я никому не мог сказать
Священных слов «отец» и «мать».
Конечно, ты хотел, старик,
Чтоб я в обители отвык
От этих сладостных имен, -
Напрасно: звук их был рожден
Со мной. И видел у других
Отчизну, дом, друзей, родных,
А у себя не находил
Не только милых душ - могил!
Тогда, пустых не тратя слез,
В душе я клятву произнес:
Хотя на миг когда-нибудь
Мою пылающую грудь
Прижать с тоской к груди другой,





თუნდ უცნობს, მაგრამ მშობლიურ მკერდსა
მე მივყრდნობოდი და მემცნო კვნესა,
ეჰ! იგი ფიქრნი გამშორდნენ უკვე,
ტურფად გაშლილნი რომ დამელუზნენ,
და ვით ვცხოვრობდი მე უცხო მხარეს,
მონა, ობოლი დაეხუჭავ თვალებს.

5

მე არ მაშინებს საფლავი, არა...
ამბობენ: ტანჯვას მის ცივ და მარად
მყუდროებაში დასძინებია,
მაგრამ სიცოცხლეც დამნანებია.
მე ყმანვილი ვარ, ყმანვილი... იქნებ
ლალი სიყრმისას შენც იცნობ ფიქრებს,
ან იცნობდი და დაგვინყებია,
თუ როგორ გძულდა ან გყვარებია,
რა აჩქარებით გიცემდა გული,
როცა კოშკიდან თვალანთებული
მზეს გასცქეროდი და მინდორ-ყანას,
სად ჰაერია გრილი, და ხანაც,
სად შორეული ქვეყნისა შვილი,
კედლის ღრმა ხვრელში შემოფრენილი
ზის, მიჰყრდნობია კოშკის ხავეს მკერდით
გრგვინვით შემკრთალი ჯერ ნორჩი მტრედი?
და თუ მოგებზრდა შენ მრავალფერი
ქვეყნის სიტურფე, სუსტი ხარ, ბერი,
გადასჩვევიხარ ქვეყნიურ ვნებას.

Хоть незнакомой, но родной.
Увы! теперь мечтанья те
Погибли в полной красоте,
И я как жил, в земле чужой
Умру рабом и сиротой.

5

Меня могила не страшит:
Там, говорят, страданье спит
В холодной вечной тишине;
Но с жизнью жаль расстаться мне.
Я молод, молод... Знал ли ты
Разгульной юности мечты?
Или не знал, или забыл,
Как ненавидел и любил;
Как сердце билось живой
При виде солнца и полей
С высокой башни угловой,
Где воздух свеж и где порой
В глубокой скважине стены,
Дитя неведомой страны,
Прижавшись, голубь молодой
Сидит, испуганный грозой?
Пускай теперь прекрасный свет
Тебе постыл; ты слаб, ты сед,
И от желаний ты отвык.
Что за нужда? Ты жил, старик!
Тебе есть в мире что забыть,





შენ გიცხოვრია. მეტი რა გნებავს!
ალარაფერი გეუცხოვება.
მეც ხომ შემეძლო ქვეყნად ცხოვრება!..


6

შენ გასურს იცოდე, გაჭრილმა მარტოდ
იქ რა ვიხილე? – მინდვრები ფართო...
მე იქ ვიხილე ბორცვთა ბიბინი,
ირგვლივ შემოზრდილ ხეთა გვირგვინით,
თითქოს ჯგუფ-ჯგუფად მოხმაურენი,
ფერხულს ძმებივით უვლიდნენ ხენი.
ვნახე გროვანი მე პირქუშ კლდეთა,
ოდეს ღვართაფი მათ შუა კვეთდა.
იმ კლდეთა ფიქრებს ვხედავდი ნათლად,
ასეთი ნიჭი ცით მომემადლა.
დიდი ხანია ქვის მკლავთა გაშლით
ჰაერში დგანან და ყოველ ნამში
ფიქრობენ, ერთუერთს რომ მისწვდებიან,
მაგრამ დღეები, წლები ქრებიან,
ვერა, ვერასდროს შეერთდებიან!
მე იქ ვიხილე მაღალნი მთანი,
გასაოცარნი, ვით ოცნებანი,
როცა რიჟრაჟი წითლად ღვიოდა,
ვით საკურთხევლებს, კვამლი სდიოდათ
იმათ მწვერვალებს მტრედისფერ ცაში;
ლამის იდუმალ ბინიდან აშლით,
აღმოსავლეთის მიმართულებით

Ты жил, - я также мог бы жить!

6

Ты хочешь знать, что видел я
На воле? - Пышные поля,
Холмы, покрытые венцом
Дерев, разросшихся кругом,
Шумящих свежою толпой,
Как братья в пляске круговой.
Я видел груды темных скал,
Когда поток их разделял.
И думы их я угадал:
Мне было свыше то дано!
Простерты в воздухе давно
Объятья каменные их,
И жаждут встречи каждый миг;
Но дни бегут, бегут года -
Им не сойтись никогда!
Я видел горные хребты,
Причудливые, как мечты,
Когда в час утренней зари
Курились, как алтари,
Их выси в небе голубом,
И облачко за облачком,
Покинув тайный свой ночлег,
К востоку направляло бег -
Как будто белый караван
Залетных птиц из дальних стран!





ერთურთს მისდევდნენ ღრუბლის ქულები
ფრინველთა თეთრი ქარავნის დარად,
უცხო ქვეყნისკენ რომ გაეჩქარა,
და ნისლებს შორის მოჩანდა მკრთალად
თოვლით მბრწყინავი, როგორც ალმასი,
იგი ჭალარა, მტკიცე კავკასი.
არ ვიცი მაშინ რა დამემართა,
ჩემს გულს ესოდენ რად ეხალვათა.
ხმამ იდუმალმა მე შემასმინა,
რომ მეც ოდესღაც იქ მქონდა ბინა,
და ჩემს ხსოვნაში ამოიხატა
იგი წარსული სულ უფრო ცხადად.

7

და თითქოს თვალწინ მესახებოდა
სახლი მამისა, ჩვენი ხეობა,
მიმოფანტული ჩრდილში აული;
მესმოდა მწუხრის მე ჟრიაბული,
ოდეს შინ ილტვის ნახირთა წყება
და ნაცნობ ძაღლთა გაისმის ყევა...
იქ, ჩვენი სახლის აივნის ახლოს,
მთვარის ნათელში, სალამოს, მახსოვს,
იჯდა შავგვრემან მოხუცთ კრებული,
საქმიან სახით, ჩაფიქრებული,
და მოვერცხლილი ჩანდა კაშკაშით
მათი ხანჯლების გრძელი ქარქაში...
როგორც სიზმარში, ბინდბუნდად, ჩქარა,

Вдали я видел сквозь туман,
В снегах, горящих, как алмаз,
Седой незыблемый Кавказ;
И было сердцу моему
Легко, не знаю почему.
Мне тайный голос говорил,
Что некогда и я там жил,
И стало в памяти моей
Прошедшее ясней, ясней...

7

И вспомнил я отцовский дом,
Ущелье наше и кругом
В тени рассыпанный аул;
Мне слышался вечерний гул
Домой бегущих табунов
И дальний лай знакомых псов.
Я помнил смуглых стариков,
При свете лунных вечеров
Против отцовского крыльца
Сидевших с важностью лица;
И блеск оправленных ножен
Кинжалов длинных... и как сон
Все это смутной чередой
Вдруг пробежало предо мной.
А мой отец? он как живой
В своей одежде боевой
Являлся мне, и помнил я





ამ სურათებმა წინ ჩამიარა.
 თვით ჩემი მამაც გამომეცხადა,
 მხედრულ სამოსში სულ ცოცხალს ჰგავდა.
 და წარმომიდგა კვლავ საცნაური –
 ბრწყინვა თოფისა, ჩაჩქნის ხმაური,
 მზერა ამაყი, შეუპოვარი,
 ყმანვილი დების სიმღერა წყნარი,
 მათი თვალები — ნაზ შუქით სავსე,
 რომ დასდგომოდნენ ჩემს აკვანს თავზე.
 ქვევით მდინარე ხევს ჩაუვლიდა,
 ღრმა როდი იყო, თუმც ქუხდა დიდად.
 და სათამაშოდ იქ შუადღისას
 ვწვევდით ოქროს ნაპირებს მისას.
 ვუცქერდი ფრენას სწრაფ მერცხლებისას,
 როცა წვიმის წინ სულ დაბლა ქროდნენ,
 მდინარის ტალღებს ფრთით ეხებოდნენ.
 და მომაგონდა ის მყუდრო სახლი,
 სად საღამოთი, ცეცხლის წინ, ნალვლით
 ბევრს გვიამბობდნენ, თუ ჩვენი ხალხი
 იმ შორ წარსულში როგორ ცხოვრობდა,
 როს მინას მეტი სიტყურფე ჰქონდა!..

8

რას ვაკეთებდი გაჭრილი სოფლად?
 ო, იმ სამ ნეტარ დღის შეუცნობლად,
 მწამს, იქნებოდა სიცოცხლე ჩემი
 უფრო შავბნელი და მოსაწყენი,

Кольчуги звон, и блеск ружья,
И гордый непреклонный взор,
И молодых моих сестер...
Лучи их сладостных очей
И звук их песен и речей
Над колыбелию моей...
В ущелье там бежал поток.
Он шумен был, но неглубок;
К нему, на золотой песок,
Играть я в полдень уходил
И взором ласточек следил,
Когда они перед дождем
Волны касались крылом.
И вспомнил я наш мирный дом
И пред вечерним очагом
Рассказы длинные о том,
Как жили люди прежних дней,
Когда был мир еще пышней.

8

Ты хочешь знать, что делал я
На воле? Жил - и жизнь моя
Без этих трех блаженных дней
Была б печальней и мрачней
Бессильной старости твоей.
Давным-давно задумал я
Взглянуть на дальние поля,
Узнать, прекрасна ли земля,





ვიდრე უძლური სიბერე შენი.
 დიდი ხანია მე მქონდა ზრახვად
 შორი ველები კვლავ დამენახა;
 გამეგო მინა ჰყვავის თუ გახმა,
 შემეცნო, ქვეყნად რად გავჩნდით, რისთვის?
 ლალ ცხოვრებისთვის თუ ტყვეობისთვის.
 და ერთხელ ღამით, საშინელ ღამით,
 როს ჭექა-გრგვინვის ისმოდნენ ხმანი,
 ოდეს შემკრთალი თქვენ ყველა ერთად
 პირქვე დაემხეთ საკურთხეველთან,
 მე გავიქეცი. ო, როგორც ძმასა,
 მოვეხვეოდი იმ ქარიშხალსა...
 თვალს ვადევნებდი ღრუბელთა ღელვას...
 ხელით ვიჭერდი ხასხასა ელვას;
 თქვი, ამ კედლებში, ბერო, ხნიერო,
 ვინ რას მომცემდით სამაგიეროდ
 გრიგალთან მშფოთვარ გულის ძმობისა,
 ხანმოკლე, მაგრამ ცოცხალ გრძნობისა?

9

დიდხანს გავრბოდი... საითკენ? სადა?
 არ ვიცი! ჩემს გზას არ დაჰბრწყინავდა
 ერთი ვარსკვლავიც იმ უკუნეთში.
 და მაამებდა, როდესაც მკერდში,
 სადაც ცხოვრობდა მტანჯველი დარდი,
 გრილი ტყის ჰაერს ჩავისუნთქავდი.
 დიდხანს ასე დავრბოდი. ბოლოს,

Узнать, для воли иль тюрьмы
На этот свет родимся мы.
И в час ночной, ужасный час,
Когда гроза пугала вас,
Когда, столпясь при алтаре,
Вы ниц лежали на земле,
Я убежал. О, я как брат
Обняться с бурей был бы рад!
Глазами тучи я следил,
Рукою молнию ловил...
Скажи мне, что средь этих стен
Могли бы дать вы мне взамен
Той дружбы краткой, но живой,
Меж бурным сердцем и грозой?..

9

Бежал я долго - где, куда?
Не знаю! ни одна звезда
Не озаряла трудный путь.
Мне было весело вдохнуть
В мою измученную грудь
Ночную свежесть тех лесов,
И только! Много я часов
Бежал, и наконец, устав,
Прилег между высоких трав;
Прислушался: погони нет.
Гроза утихла. Бледный свет
Тянулся длинной полосой



როს მოვიქანცე, ესეც კმაროდა...
 მალალ ბალახში ჩავნეჭი წამით.
 ვუსმენდი: მღვერის არ იყო ჩქამი,
 დელგმაც მიყურდა. შორს უმკრთალესი
 ჩანდა სინათლის გრძელი ხარვეზი,
 შუა რომ ჰყოფდა ბნელ ცას და მიწას,
 იქ, შორს, ვხედავდი მთებს დაუვინყარს,
 მალლა აკბილულ ნაქარგის გვარად.

ვინეე ბალახში უძრავად, წყნარად.
 ტირილს მორთავდა ტურა, ვით ბავშვი.
 ხანაც ქვებს შორის ტანქერცლიანი,
 გაიღვებდა გველი ციალით.
 მაგრამ შიშს სული ვერ აენეწა;
 კაცთათვის უცხო თვით გავხდი მხეცად,
 გველივით მალვით ვხოხავდი მეცა.

10

ღვართქაფის შემდეგ უმეტეს ძალით
 ქუხდა, გრგვინავდა უფსკრულში წყალი,
 და მისი გრგვინვა ყრუ, დაუმცხრალი,
 ას მრისხანე ხმად ისმოდა ქვევით...
 თუმცა უსიტყვო და გაურკვევი,
 მესმოდა მისი მე მასლაათი,
 მარადი დრტვინვა, დავა მარადი
 ჯიუტ კედლებთან. ხანდახან წყალი
 მიწყნარდებოდა და მთელი ძალით
 დასჭექდა შემდეგ მყუდროებაში;
 და აი, უკვე ნისლოვან ცაში
 აჟრიამულდნენ ჩიტები ერთად,
 აღმოსავლეთი აოქროსფერდა;



Меж темным небом и землей,
И различал я, как узор,
На ней зубцы далеких гор;
Недвижим, молча я лежал,
Порой в ущелии шакал
Кричал и плакал, как дитя,
И, гладкой чешуей блестя,
Змея скользила меж камней;
Но страх не сжал души моей:
Я сам, как зверь, был чужд людей
И полз и прятался, как змей.

10

Внизу глубоко подо мной
Поток усиленный грозой
Шумел, и шум его глухой
Сердитых сотне голосов
Подобился. Хотя без слов
Мне внятен был тот разговор,
Немолчный ропот, вечный спор
С упрямой грудой камней.
То вдруг стихал он, то сильней
Он раздавался в тишине;
И вот, в туманной вышине
Запели птички, и восток
Озолотился; ветерок
Сырые шевельнул листья;
Дохнули сонные цветы,





ნამიან ფოთლებს შეარხევს ქარი,
სუნთქავს ყვავილი განალვიძარი,
და ყვავილივით მეც თავი მალლა
ავწიე, დილა რომ დამენახა,
და როცა ირგვლივ მოვავლე თვალი,
არ დაგიმალავ, შევძრწუნდი მხდალი.
უძირო ხრამთან ვინეე, სად წყალი
აქაფებული ღმუოდა მწყრალი.
სიღრმეში იყო კლდე ჩაკიდებული,
მაგრამ მარტოდენ ბოროტი სული
თუ ჩაჰყოლია ქვევით ამ ლოდებს,
ციდან ქვესკნელში დაინთქა ოდეს.


11

ჰყვავდა ირგვლივ მიწა ღვთის ბაღად,
ფერად სამოსზე შემოენახათ
იქ მცენარეებს ცრემლნი ცისანი,
და ხუჭუჭებით ხეზე, ვიცანი,
იგრიხებოდნენ, კოპწია ვაზნი,
თვის გამჭვირვალე სიმწვანით ნაზნი.
სავსე, კამკამა მტევნების წყება,
ძვირფას საყურეთ რომ შეედრება,
ეკიდა მძიმედ. მათ გასაქურდად
ფრინველნი ფრთხილნი მოქროდნენ გუნდად.
და ისევ მიწას დავამხე გულით,
ისევ ვუსმენდი სულგანაბული
ჩურჩულს საოცარ და გრძნეულ ხმათა,

И, как они, навстречу дню
Я поднял голову мою...
Я осмотрелся; не таю:
Мне стало страшно; на краю
Грозящей бездны я лежал,
Где выл, крутясь, сердитый вал;
Туда вели ступени скал;
Но лишь злой дух по ним шагал,
Когда, низверженный с небес,
В подземной пропасти исчез.

11

Кругом меня цвел божий сад;
Растений радужный наряд
Хранил следы небесных слез,
И кудри виноградных лоз
Вились, красуясь меж дерев
Прозрачной зеленью листов;
И грозды полные на них,
Серег подобье дорогих,
Висели пышно, и порой
К ним птиц летал пугливый рой
И снова я к земле припал
И снова вслушиваться стал
К волшебным, странным голосам;
Они шептались по кустам,
Как будто речь свою вели
О тайнах неба и земли;





იქ, ბუჩქებს შორის რომ გაიმართა,
თითქოს ჰქონდათო მათ საუბარი
ფარულ ამბებზე ცისა და ბარის;
ბუნების ხმანი იქ ყველა ერთად
გაიძახოდნენ. მხოლოდ არ ჟღერდა
ნუთში დიდებულ ამ ღალატისა
ამაყი სიტყვა ადამის ძისა.
იქ სულმა მაშინ რაც განიცადა,
ვით ოცნებანი, ქცეულან მტვრად;
მსურს მაინც გითხრა, რას ვგრძნობდი მაშინ,
რომ კვლავ ვიცოცხლო, – თუნდ ოცნებაში.
ცა ისე წმინდა იყო იმ დილით,
რომ ანგელოზის მფრინავი ჩრდილი
შეიმჩნეოდა ბეჯითი თვალით;
ისე ღრმა იყო და გამჭვირვალე,
სავსე თანაბარ ლურჯ ელვარებით,
რომ იქ ვიყავი სულით, თვალებით,
სანამ შუადღემ თვის მხურვალეებით
არ განმიფანტა ფიქრი ყოველი.
მკლავდა წყურვილი დაუცხრომელი.

12

მე მივაშურე მდინარეს მაშინ,
ლოდიდან ლოდზე ვიდოდი ხრამში
ეკალ-ბარდებზე ხელების ხვევნით.
ქვა მეცლებოდა ფეხქვეშ და ქვევით,
უფსკრულისაკენ მიხტოდა სრბოლით,

И все природы голоса
Сливались тут; не раздался
В торжественный хваленья час
Лишь человека гордый глас.
Всуче, что я чувствовал тогда,
Те думы - им уж нет следа;
Но я б желал их рассказать,
Чтоб жить, хоть мысленно, опять.
В то утро был небесный свод
Так чист, что ангела полет
Прилежный взор следить бы мог;
Он так прозрачно был глубок,
Так полон ровной синевой!
Я в нем глазами и душой
Тонул, пока полдневный зной
Мои мечты не разогнал.
И жаждой я томиться стал.

12

Тогда к потоку с высоты,
Держась за гибкие кусты,
С плиты на плиту я, как мог,
Спускаться начал. Из-под ног
Сорвавшись, камень иногда
Катился вниз - за ним бразда
Дымилась, прах вился столбом;
Гудя и прыгая, потом
Он поглощаем был волной;





მის ნაკვალევზე დგებოდა ბოლი,
 დაიხვეოდა მტვერი სვეტივით,
 შემდეგ ჯახანით ქვა მოსხლეტილი
 დაინთქმებოდა ტალღებში წამსვე;
 და მეც ვეკიდე უფსკრულის თავზე.
 მაგრამ ლალ სიყრმეს ძალა აქვს დიდი,
 სიკვდილს ოდნავაც არ შევუშინდი.
 რაწამს ჩავედი ძირს მწვერვალიდან
 ხევში, მთის წყალთა სიგრილემ წმინდამ
 შემომიბერა ნიავის მსგავსად,
 და დახარბებით დავემხე წყალსა.
 ამ დროს მსუბუქი ფეხის ხმა მესმა...
 ამოვეფარე წამს ჯაგნარებსა
 მე უნებლიე გულისფანცქალით
 და ირგვლივ მხდალად მოვაღლე თვალი;
 დახარბებული ვუსმენდი: ჩქერთან
 ქართველი ქალის ნორჩი ხმა ჟღერდა;
 სულ უფრო ახლოს მღეროდა ქალი
 ისეთ ბუნებრივ სიცოცხლის ძალით,
 ისე საამოდ თავისუფალი,
 თითქოს სჩვეოდა მას ტკბილ ძახილით
 მხოლოდ მეგობრის ეთქვა სახელი.
 სიმღერა იყო უბრალო, სადა,
 მაგრამ ის გულმა ღრმად განიცადა,
 და ოდეს მწუხრით ვარ დანისლული,
 კვლავ უხილავი მიმღერის სული.

И я висел над глубиной,
 Но юность вольная сильна,
 И смерть казалась не страшна!
 Лишь только я с крутых высот
 Спустился, свежесть горных вод
 Повеяла навстречу мне,
 И жадно я припал к волне.
 Вдруг - голос - легкий шум шагов...
 Мгновенно скрывшись меж кустов,
 Невольным трепетом объят,
 Я поднял боязливый взгляд
 И жадно вслушиваться стал:
 И ближе, ближе все звучал
 Грузинки голос молодой,
 Так безыскусственно живой,
 Так сладко вольный, будто он
 Лишь звуки дружеских имен
 Произносить был приучен.
 Простая песня то была,
 Но в мысль она мне залегла,
 И мне, лишь сумрак настает,
 Незримый дух ее поет.




13

კოკა შედგმული მხარზე რომ ჰქონდა,
ვინრო ბილიკით ჩამოდიოდა
ქართველი ქალი. ხანდახან ქვებში
დაუსხლტებოდა ფეხი და ეშხით
გაიცინებდა თვისსავე მარცხზე,
მას ღარიბულად ემოსა ტანზე
და მოელავდა მსუბუქად მსვლელი,
უკან თავსაფრის ნაკეცი გრძელი
გადაჰფენოდა. ზაფხულის ხვატმა
ოქროს ჩრდილებით თუ დაუხატა
მკერდი და სახე, და საამური
მის ღანვ-ბაგეზე ენთო აღმური.
ისე ღრმა ჰქონდა შავი ტვალები,
ისეთი გრძნობის იდუმალებით
აღსავსე იყო, რომ დამკრა ელდამ,
ფიქრებარეულს თვალი დამიბნელდა.
და მახსოვს მხოლოდ კოკის ხმა, ჩქარი
რომ ჩადიოდა შიგ ნელი ჟღერით,
მერე შრიალი... სხვა არაფერი.
როს სისხლი დაცხრა და საღი მზერით
გონზე მოსულმა გაცხედე იქით,
უკვე შორს იყო ასული იგი.
თუმც მდიოდა ნაბიჯით ნელით,
მაინც მსუბუქად, და ტვირთით მსვლელი
იყო ვით ალვა – მეფე მის ველთა.
და ორი ქოხი მახლობელ სერთან

Держа кувшин над головой,
 Грузинка узкою тропой
 Сходила к берегу. Порой
 Она скользила меж камней,
 Смеясь неловкости своей.
 И беден был ее наряд;
 И шла она легко, назад
 Изгибы длинные чадры
 Откинув. Летние жары
 Покрыли тенью золотой
 Лицо и грудь ее; и зной
 Дышал от уст ее и щек.
 И мрак очей был так глубок,
 Так полон тайнами любви,
 Что думы пылкие мои
 Смутились. Помню только я
 Кувшина звон, - когда струя
 Вливалась медленно в него,
 И шорох... больше ничего.
 Когда же я очнулся вновь
 И отлила от сердца кровь,
 Она была уж далеко;
 И шла, хоть тише, - но легко,
 Стройна под ношею своей,
 Как тополь, царь ее полей!
 Недалеко, в прохладной мгле,





ნისლში, კლდის ქიმზე თანაშეზრდილად,
 მეგობრებივით მოჩანდა წყვილად.
 იქ ერთი ქოხის ბრტყელ სახურავში
 ცისფერი კვამლი დიოდა აშლით.
 ახლაც თვალწინ მაქვს დაუვინყარი,
 როგორ სიჩუმით გაიღო კარი
 და მერე ისევ გამოიკეტა.
 ჰო, ვიცი, შენთვის ძნელია მეტად
 ჩემი კაეშნის, სევდის გაგება,
 და რომც გაიგო, დამენანება.
 ის, წუთი, ჩემს სულს რომ ანათებდა,
 დე, მოკვდეს ჩემში და ჩემთან ერთად.

14


ღამისთევისგან ქანცგანყვეტილი
 დავწექ ჩრდილში და საამურ ძილით
 მე უნებლიედ მივლოლუე თვალი;
 და სიზმრად ვნახე ისევ ის ქალი,
 ქართველი ქალის ნორჩი ხატება,
 და გულს მივლიდა მწველ ჟრუანტელად
 რალაც უცნობი და ტკბილი ბოლმა...
 დიდხანს მტანჯავდა უთქმელი ოხვრა
 და გამელვიძა. ლაყვარდში მთვარე
 უკვე ბრწყინავდა შუქმოელვარე.
 მთვარეს კი უკან შავი აჩრდილით,
 როგორც თავის მსხვერპლს, მკლავებგაშლილი
 ობლად მისდევდა ღრუბელი ნელი.

Казалось, приросли к скале
Две сакли дружною четой;
Над плоской кровлею одной
Дымок струился голубой.
Я вижу будто бы теперь,
Как отперлась тихонько дверь...
И затворилась опять!..
Тебе, я знаю, не понять
Мою тоску, мою печаль;
И если б мог, - мне было б жаль:
Воспоминанья тех минут
Во мне, со мной пускай умрут.

14

Трудами ночи изнурен,
Я лег в тени. Отрадный сон
Сомкнул глаза невольно мне...
И снова видел я во сне
Грузинки образ молодой.
И странной сладкою тоской
Опять моя заныла грудь.
Я долго силился вздохнуть -
И пробудился. Уж луна
Вверху сияла, и одна
Лишь тучка кралася за ней,
Как за добычею своей,
Объятья жадные раскрыв.





იყო სამყარო ჩუმი და ბნელი.
 მხოლოდ შორიდან ვერცხლისფერ ბაფთად
 თოვლით მოსილი გრეხილი მთათა
 გამოსჭვიოდა სივრცეში მკრთალი.
 შესჩქაფუნებდა ნაპირებს წყალი.
 ნაცნობ ქოხიდან შუქი ჩნდებოდა,
 ხან იელვებდა, ხან ჩაქრებოდა.
 ასე ხანდახან შუალამისას
 ქრება კამკამა ვარსკვლავი ცისა.
 თუმც მისი ხილვის მტანჯავდა სევდა,
 მაინც იქ ასვლა ვერ გამებედა.
 ერთი რამ იყო ჩემს სულში ზრახვად:
 მსურდა, როგორმე რომ დამენახა
 ჩემი სამშობლო. ტკივილი მწვავე
 ღონის მოკრებით ვძლიე და წაველ
 მუნჯი და ფრთხილი პირდაპირ გზითა;
 მაგრამ მავალი დაბურულ ტყითა,
 გაოგნებული გზას ვკარგავ ჩქარა,
 როდესაც მთები თვალს მიეფარა.


15

ეკლის ბუჩქს, შეკრულს ფათალოს ბარდით,
 ვგლეჯდი ამაო თავგანწირვამდი.
 ირგვლივ ტყე იყო, ტყე გაუსვლელი.
 სულ უფრო ხშირი, სულ უფრო ბნელი,
 სავსე საშინელ იდუმალებით.
 ო, მილიონი შავი თვალებით

Мир темен был и молчалив;
 Лишь серебристой бахромой
 Вершины цепи снеговой
 Вдали сверкали предо мной
 Да в берега плескал поток.
 В знакомой сакле огонек
 То трепетал, то снова гас:
 На небесах в полночный час
 Так гаснет яркая звезда!
 Хотелось мне... но я туда
 Взойти не смел. Я цель одну -
 Пройти в родимую страну -
 Имел в душе и превозмог
 Страданье голода, как мог.
 И вот дорогою прямой
 Пустился, робкий и немой.
 Но скоро в глубине лесной
 Из виду горы потерял
 И тут с пути сбиваться стал.

15

Напрасно в бешенстве порой
 Я рвал отчаянной рукой
 Терновник, спутанный плющом:
 Все лес был, вечный лес кругом,
 Страшней и гуще каждый час;
 И миллионом черных глаз





მე იქ ყოველი ბუჩქის ჩეროდან
ლამის წყვილიადი შემომცქეროდა.
თავბრუ მესხმოდა. ხანდახან ხეთა
წვერს ვეწვებოდი – შორს გამეხედა;
და იქაც, მაღალ ცის ლაშვარდამდე
სავარცხელივით ხის წვერნი ჩანდნენ.
მაშინ მიწაზე დავემხე მკერდით
და გაშმაგებით მე ვქვითინებდი,
მინის გულს გრილსა კბილებით ვხრავდი.
და ცრემლი, ცრემლი, – ო, ჩემი დარდი
მინას ცხელ ნამად მე ჩავალვენითე...
კაცთ მაინც შველას არ ვთხოვდი, მენდე.
სამარადისოდ გარდანახვენი,
კაცთათვის ვიყავ უცხო, ვით მხეცი,
და რომ ერთხელაც მეყვირა ხვეწნით,
მაშინ, მოხუცო, ო, ვფიცავ ზენას,
ამოვიგლეჯდი ჩემს უძლურ ენას!


16

შენც კარგად იცნობ ბავშვობას ჩემსას,
ვერვინ ნახავდა ჩემს თვალში ცრემლსა,
მაგრამ იქ ურცხვად მე ავქვითინდი,
ვინ შემხედავდა? ტყის შავი ბინდი,
ანდა მთოვარე მცურავი ცაში;
განათებული მისის კაშკაშით,
მთლად დაფარული ქვეშით და ხავსით,
და ტყით მოცული, გალავნის მსგავსად,

Смотрела ночи темнота
Сквозь ветви каждого куста.
Моя кружилась голова;
Я стал влезать на дерева;
Но даже на краю небес
Все тот же был зубчатый лес.
Тогда на землю я упал;
И в исступлении рыдал,
И грыз сырую грудь земли,
И слезы, слезы потекли
В нее горячею росой...
Но, верь мне, помощи людской
Я не желал... Я был чужой
Для них навек, как зверь степной;
И если б хоть минутный крик
Мне изменил - клянусь, старик,
Я б вырвал слабый мой язык.

16
Ты помнишь детские года:
Слезы не знал я никогда;
Но тут я плакал без стыда.
Кто видеть мог? Лишь темный лес
Да месяц, плывший средь небес!
Озарена его лучом,
Покрыта мохом и песком,
Непроницаемой стеной





ჩემ წინ პატარა მინდორი ჩანდა.
 ზედ გადირბინა ჯერ ლანდმა მარდად
 და აციალდა წამს ორი ცეცხლი,
 მერე კი მინდორს უცნობი მხეცი
 ტყიდან უეცრად დაატყდა მალი,
 განვა და იწყო მან კოტრიალი.
 უდაბნოეთის მარადი მგზავრი,
 ეს მხეცი იყო ავაზა მძლავრი,
 სისხლიან ძვალსა გულდასმით კენეტდა
 და სიხარულით თან წკმუტუნებდა,
 ხანაც სივრცეში ცეცხლოვან თვალებს
 გაუშტერებდა პირსავსე მთვარეს,
 მის ტანს ვერცხლისფრად რომ ეზარნიშა,
 და კუდს იქნევდა სიამის ნიშნად.
 მაშინ კაპიან როკს ვტაცე ხელი,
 დაყურსული ვარ, ბრძოლის წუთს ველი.
 თითქოს უეცრად ვიგრძენი გულში
 სისხლის და შებმის წყურვილი ურჩი...
 თუმცაღა ჩემი გზა ბედისწერამ
 სხვაფერ წარმართა, მე მაინც მჯერა –
 იქ, სად იბრძოდნენ ჩემნი პაპანი,
 არ ვიქნებოდი სხვებზე ჯაბანი.

17

ველოდი, და ჰა, ჩრდილში ღამისა
 იყნოსა მტერი და მყის გაისმა
 გააგებული ღმუილი მისი,

Окружена, передо мной
Была поляна. Вдруг во ней
Мелькнула тень, и двух огней
Промчались искры... и потом
Какой-то зверь одним прыжком
Из чащи выскочил и лег,
Играя, навзничь на песок.
То был пустыни вечный гость -
Могучий барс. Сырую кость
Он грыз и весело визжал;
То взор кровавый устремлял,
Мотая ласково хвостом,
На полный месяц, - и на нем
Шерсть отливалась серебром.
Я ждал, схватив рогатый сук,
Минуту битвы; сердце вдруг
Зажглося жаждою борьбы
И крови... да, рука судьбы
Меня вела иным путем...
Но нынче я уверен в том,
Что быть бы мог в краю отцов
Не из последних удалцов.

17

Я ждал. И вот в тени ночной
Врага почуял он, и вой
Протяжный, жалобный как стон





როგორც ვაების ხმა საბრალოსი.
 ბრჭყალით მრისხანედ ფხოჭნიდა მინას,
 ტორებზე შედგა, მერე კვლავ მიწვა
 და პირველივე ნახტომით მძაფრით
 სიკვდილს საშინელს მიქადა სწრაფი,
 მაგრამ უდრეკი ჩემი ხის კაპი
 მიზანში მოხვდა, მე დავასწარი.
 თითქოს ნაჯახმა გაავლო ღარი,
 მას ფართო შუბლი რომ განეკვეცა.
 ვით ადამიანს, აღმოხდა კვნესა
 და გადაგორდა. და მაინც მერე,
 თუმცა ჭრილობიდან სქელ, მოჩანჩქერე
 ზვირთივით იყო სისხლისა სრბოლა,
 გაჩაღდა ბრძოლა, სასტიკი ბრძოლა.

18

იგი უეცრად მკერდს შემომახტა,
 მაგრამ მას ჩემი ხის ხმალი დახვდა,
 ყელში ჩავურჭე, დავუტრიალე
 ორჯერ შიგნივ და... ის, მოღრიალე
 მეცა, მოკრიბა ძალ-ღონე მთელი,
 და ჩახლართულნი, ვით ორი გველი, –
 ვერ ჩაეხვიონ ერთმანეთს ასე
 თვით მეგობრებიც, – ძირს დავენარცხეთ.
 და იქ გაგრძელდა ჭიდილი ავი.
 ვიყავ იმ ნუთში მეც შემზარავი.
 როგორც ავაზა, უდაბნოს მხეცი,

Раздался вдруг... и начал он
Сердито лапой рыть песок,
Встал на дыбы, потом прилег,
И первый бешеный скачок
Мне страшной смертью грозил...
Но я его предупредил.
Удар мой верен был и скор.
Надежный сук мой, как топор,
Широкий лоб его рассек...
Он застонал, как человек,
И опрокинулся. Но вновь,
Хотя лила из раны кровь
Густой, широкою волной,
Бой закипел, смертельный бой!

18
Ко мне он кинулся на грудь:
Но в горло я успел воткнуть
И там два раза повернуть
Мое оружие... Он завыл,
Рванулся из последних сил,
И мы, сплетясь, как пара змей,
Обнявшись крепче двух друзей,
Упали разом, и во мгле
Бой продолжался на земле.
И я был страшен в этот миг;
Как барс пустынный, зол и дик,





გავხდი ველური და უაფთრესი.
მისებრ ვლმულოდი მეც ალგზნებული,
თითქოს თვით ვიყავ დაბადებული
ოჯახში მგელთა და ავაზათა,
ტყემ უსიერმა ჩრდილებქვეშ მზარდა;
მეგონა, თითქოს სიტყვები კაცთა
დამეინწყებოდა... და გულში ნაცვლად
ეს შემზარავი დრტვინვა შობილა;
თითქოს ჩემს ენას თვით ბავშვობიდან
არ წარმოეთქვას სხვა არაფერი...
მაგრამ თანდათან დასუსტდა მტერი,
ლასლასებს, სუნთქავს სულ უფრო ნელა,
კიდევ გამთანგა უკანასკნელად,
მისი უძრავი თვალების გუგამ
ერთხელ კვლავ რისხვით გადმოაშუქა
და დაიხუჭა მარადი ძილით.
მას ხომ პირისპირ შეხვდა სიკვდილი...
მებრძოდა მძლეველს თავგანანირი
და ომში მოკვდა, ვით კვდება გმირი!

19


აი, ჩემს მკერდზე შენც ნახე თვალთ
ღრმად გავლებული ბრჭყალების კვალი.
ნახე, ღიაა ჭრილობა ჯერაც,
მაგრამ ცივ მიწის საბანი, მჯერა,
რომ განაგრილებს იარას უჩვევს,
რომ მას სიკვდილი მთლად მოაშუშებს.

Я пламенел, визжал, как он;
Как будто сам я был рожден
В семействе барсов и волков
Под свежим пологом лесов.
Казалось, что слова людей
Забыл я - и в груди моей
Родился тот ужасный крик,
Как будто с детства мой язык
К иному звуку не привык...
Но враг мой стал изнемогать,
Метаться, медленней дышать,
Сдавил меня в последний раз...
Зрачки его недвижных глаз
Блеснули грозно - и потом
Закрылись тихо вечным сном;
Но с торжествующим врагом
Он встретил смерть лицом к лицу,
Как в битве следует бойцу!..

19

Ты видишь на груди моей
Следы глубокие когтей;
Еще они не заросли
И не закрылись; но земли
Сырой покров их освежит
И смерть навеки заживит.
О них тогда я позабыл,





მაშინ კი ვძლიე ტკივილი მწველი,
შემოვიკრიბე ძალ-ღონე მთელი
და კვლავ გავეყევი ბარბაცით ტყესა.
მაგრამ ამაოდ ვებრძოდი ბედსა,
ის დამცინოდა მე უარესად.


20


ტყიდან გამოველ. ჰა, სხივმა დაჰკრა,
გალვიძებულ ტყის ნათელში გაქრა
მწყობრი ფერხული ღამის მნათობთა;
ტყე ნისლიანი მასლაათობდა.
შორს აულს კვამლი დაადგა თეთრად;
გადაურბინა ნიავეთნ ერთად
ველს ბუნდოვანმა გუგუნმა მაშინ.
დავჯექი, ვუსმენდი მყუდროებაში.
მაგრამ ნიავეთნ გაქრა ის ბგერაც...
და ირგვლივ მთა-ბარს დაფუხვე მზერა;
თითქოს ის მხარე მე გამახსენდა...
ო, საშინელმა შემძიპყრო სევდამ
და დიდხანს, დიდხანს ვერ მოვისაზრე,
რომ კვლავ საკანში აღმოვჩნდი ასე,
რომ რაც ვითმინე ტანჯვა, სიავე,
ფუჭია, ტყვილად ველოლიავე
იდუმალ ზრახვას – სიჭაბუკეში
სულ ერთხელ ვნახე სამყაროს ეშხი,
მესმა ბაღნართა შრიალის ხმანი,
თავისუფლების სიამე ვცანი,

И, вновь собрав остаток сил,
Побрел я в глубине лесной...
Но тщетно спорил я с судьбой:
Она смеялась надо мной!

20


Я вышел из лесу. И вот
Проснулся день, и хоровод
Светил напутственных исчез
В его лучах. Туманный лес
Заговорил. Вдали аул
Куриться начал. Смутный гул
В долине с ветром пробежал...
Я сел и вслушиваться стал;
Но смолк он вместе с ветерком.
И кинул взоры я кругом:
Тот край, казалось, мне знаком.
И страшно было мне, понять
Не мог я долго, что опять
Вернулся я к тюрьме моей;
Что бесполезно столько дней
Я тайный замысел ласкал,
Терпел, томился и страдал,
И все зачем?.. Чтоб в цвете лет,
Едва взглянув на божий свет,
При звучном ропоте дубрав
Блаженство вольности познав,






და ყველაფერი ეს მისთვის, განა,
რომ სამარეში თან ჩამეტანა
წმინდა სამშობლოს დარდი ფარული,
შემარცხენელი ეგ სიბრაღული
და იმედები გაცრუებული?
მაინც ვფიქრობდი დაეჭვებული,
რომ სიზმარია ეს შესაზარი,
მაგრამ შორს უცებ ჩამოჰკრეს ზარი,
მყუდროებაში გრგვინვით მხმობელი,
და ცხადი გახდა ჩემთვის ყოველი.
ო, ვიცან, ბევრჯერ იმ ზარის რეკას
ბავშვურ თვალთაგან შორს გადურეკავს,
რაც მჩვენებია სიზმარი ნათლად:
ლანდნი მოყვასთა და ნათესავთა,
მსუბუქად მქროლი შმაგი ცხენები,
ველურ სილალით სავსე ველები,
ხევში ბრძოლები საკვირველები,
სად ყველას ერთად ვჯობნიდი მძლავრი...
ლონემიხდილი, გამშრალი ჯავრით,
ვუსმენდი: თითქოს ხმა შესაზარი
გულის სიღრმიდან რეკავდა ზარი,
რომ ვილაც მცემდა მკერდს რკინის ზოდით,
ო, მე ბუნდოვნად მაშინაც ვგრძნობდი,
ვერ ველირსები წუთს გასახარელს,
ვერასდროს ვნახავ სამშობლო მხარეს.

Унести в могилу за собой
Тоску по родине святой,
Надежд обманутых укор
И вашей жалости позор!..
Еще в сомненье погружен,
Я думал - это страшный сон...
Вдруг дальний колокола звон
Раздался снова в тишине -
И тут все ясно стало мне...
О, я узнал его тотчас!
Он с детских глаз уже не раз
Сгонял виденья снов живых
Про милых близких и родных,
Про волю дикую степей,
Про легких, бешеных коней,
Про битвы чудные меж скал,
Где всех один я побеждал!..
И слушал я без слез, без сил.
Казалось, звон тот выходил
Из сердца - будто кто-нибудь
Железом ударял мне в грудь.
И смутно понял я тогда,
Что мне на родину следа
Не проложить уж никогда.






დიახ, მეკუთვნის მე ასე ზევდრად!
 უცხო მინდორზე უვარგის მხედარს
 ძლიერი ცხენი ძირს დაანარცხებს
 და სამშობლოსკენ ჭენებით გასწევს,
 მოკლე, სწორი გზის გამომნახველი.
 მე მასთან რა ვარ? ნატვრით, ნალველით
 გული ამაოდ გამსჭვალულია:
 ეს არის გზნება ფუჭი სრულიად,
 ფიქრთა თამაში, გონების სენი.
 მე საკნის დალი მაქვს დანაჩენი.
 ასეთი არის საკანში ზრდილი
 ყვავილი, ობლად, ფერგაცრეცილი
 ნესტიან ლოდთან რომ ამოვიდა,
 იგი ნორჩ კოკორს დიდხანს ვერ შლიდა...
 სულ მოელოდა, რომ ლურჯი ციდან
 მზე მაცოცხლებელ შუქს მოაწვდიდა.
 დიდი ხნის შემდეგ მოვიდა მხსნელი,
 მას სიბრალულის შეახო ხელი.
 ვარდთა მახლობლად გადარგო იგი,
 სადაც ცხოვრება ყვავილის ირგვლივ
 ნაზად, საამოდ სუნთქავდა ბაღში...
 მაგრამ იელვა ცამ გარიჟრაჟით
 და მწველმა შუქმა დახრუკა ჩვილი
 იგი ყვავილი, საკანში ზრდილი...

21

Да, заслужил я жребий мой!
Могучий конь, в степи чужой,
Плохого сбросив седока,
На родину издалека
Найдет прямой и краткий путь...
Что я пред ним? Напрасно грудь
Полна желаньем и тоской:
То жар бессильный и пустой,
Игра мечты, болезнь ума.
На мне печать свою тюрьма
Оставила... Таков цветок
Темничный: вырос одинок
И бледен он меж плит сырых,
И долго листьев молодых
Не распускал, все ждал лучей
Живительных. И много дней
Прошло, и добрая рука
Печально тронулась цветка,
И был он в сад перенесен,
В соседство роз. Со всех сторон
Дышала сладость бытия...
Но что ж? Едва взошла заря,
Палящий луч ее обжег
В тюрьме воспитанный цветок...





და როგორც იგი იწვოდა მკრთალი,
მეც უღმობელი მწვავდა მზის ალი.
მწვანე ბალახში დაღლილი თავი
თუმცა ჩავმალე, ვერ დავიცავი:
ფოთოლნი ეკლის გვირგვინის მსგავსად,
მზით დახრუკულნი მიმკობდნენ თავსა.
და თვით მინამაც სახეში მთუთქავ
პაპანაქებით შემომასუნთქა.
სივრცეში თრთოდნენ მზის ნაპერწკალნი,
თეთრ კედლებიდან არბოდა კვამლი.
უიმედობის უმძიმეს რულით
იყო ქვეყანა ყრუდ გარინდული,
ჩასძინებოდა დათენთილს, დაღლილს...
არ გაისმოდა ძახილი ბაღლის,
არცა ჭრიჭინას მხნე კრიმანჭული,
არც ტიტინებდა მთის ნაკადული
თვის ბავშვურ ხმითა... და მხოლოდ გველი,
ვით ხანჯალს ოქროს წარწერა გრძელი,
ზურგზე სიყვითლე რომ გადასდევდა,
გამხმარ შემზნარში მიშრიალებდა.
ხან ნებიერად, ქვიშაზე მსრბოლი
იგრაგნებოდა, ვით სამფა რგოლი.
მაგრამ უეცრად ის აფართხალდა
და შორ ბუჩქებში წყვეტებით, მარდად
შეძვრა, დასწვავო თითქოს თაკარამ.

22

И как его, палил меня
Огонь безжалостного дня.
Напрасно прятал я в траву
Мою усталую главу:
Иссохший лист ее венцом
Терновым над моим челом
Свивался, и в лицо огнем
Сама земля дышала мне.
Сверкая быстро в вышине,
Кружились искры, с белых скал
Струился пар. Мир божий спал
В оцепенении глухом
Отчаянья тяжелым сном.
Хотя бы крикнул коростель,
Иль стрекозы живая трель
Послышалась, или ручья
Ребячий лепет... Лишь змея,
Сухим бурьяном шелестя,
Сверкая желтою спиной,
Как будто надписью златой
Покрытый донизу клинок,
Браздя рассыпчатый песок.
Скользила бережно, потом,
Играя, нежася на нем,
Тройным свивалась кольцом;
То, будто вдруг обожжена,
Металась, прыгала она
И в дальних пряталась кустах...





და ყოველივე წყნარი, ანკარა
 იყო ზეცაში. ნისლიდან ორი
 მთის შავი ქედი მოჩანდა შორით.
 ერთი მთის იქით ამონაბრწყენი
 ქონგურით ვიცან ტაძარი ჩვენი.
 ქვეშ კი მტკვრისა და არაგვის წყალნი
 ვერცხლისფერ ქობად ელავდნენ წყნარნი,
 გარს მწვანე კუნძულთ რომ ევლებოდნენ,
 ლალად, მსუბუქად მიიჩქაროდნენ
 აჩურჩულებულ ჩირგვთა ფესვებთან,
 და შორს მათ თვალი უაღერსებდა.
 ადგომა ვცადე და ჩემ წინ მარდად
 ცა და ხმელეთი წამს დატრიალდა...
 მსურდა მეყვირა, და ენა ურჩი
 არ მოძრაობდა გამშრალი, მუნჯი.
 მე აღსასრულის მქანცავდა ბოდვა
 და სიკვდილის წინ მეჩვენებოდა:
 ნამიან ფსკერზე თითქოს დავეშვი,
 თითქოს ვინეჟი ღრმა მდინარეში
 იდუმალ ნისლით შემობურვილი...
 და განამებულს მარად წყურვილით,
 ჩუხჩუხა, ცივი, ყინულის დარი,
 მატკობდა ჩქერი ყელს ჩამდინარი,
 გული ისეთი სიამით თრთოდა,
 რომ მეშინოდა, არ ჩამთვლემოდა.
 მდინარეში კი, ჩემს თავზე, მაღლა,

23

И было все на небесах
Светло и тихо. Сквозь пары
Вдали чернели две горы.
Наш монастырь из-за одной
Сверкал зубчатою стеной.
Внизу Арагва и Кура,
Обвив каймой из серебра
Подошвы свежих островов,
По корням шепчущих кустов
Бежали дружно и легко...
До них мне было далеко!
Хотел я встать - передо мной
Все закружилось с быстротой;
Хотел кричать - язык сухой
Беззвучен и недвижим был...
Я умирал. Меня томил
Предсмертный бред.
Казалось мне,
Что я лежу на влажном дне
Глубокой речки - и была
Кругом таинственная мгла.
И, жажду вечную поя,
Как лед холодная струя,
Журча, вливалась мне в грудь...
И я боялся лишь заснуть, -
Так было сладко, любо мне...
А надо мною в вышине





ტალღას მიჭრილი მისდევდა ტალღა.
მთვარის უტკბესად მზის სხივი ნორჩი
ჩამოსჭვიოდა ზვირთების ბროლში,
აქა-იქ გუნდნი ჭრელ თევზებისა
დანავარდობდნენ სხივებში მზისა.
იმ თევზებს შორის ულამაზესი
დავიმახსოვრე მე ერთი თევზი;
მომელამუნა ის მეტი ნდობით,
უჩანდა ზურგი მას შენამკობი
ოქროსფერ ქერცლით, თვალებთან მარდად
მან არა ერთხელ გამინავარდა;
რალაც ღრმა სევდით და სიფაქიზით
მწვანედ ელავდნენ თვალები მისი;
ძლიერ მიკვირდა, რომ საოცარი
იმ ოქროს თევზის ხმა სინარნარით
საკვირველ სიტყვებს ჩამჭურჩულებდა,
ხან ჩუმდებოდა, ხან ისევ ჟღერდა...
ამბობდა იგი: „ო, ყრმაო ჩემო,
ნუ ნახვალ, ჩემთან დარჩი...
აქ სიჩუმეა და გრილი ჩერო,
ლაღად იცხოვრებ წყალში.

*

მე ჩემს დობილებს მოვუხმობ ყველას,
ფერხულს დავუვლით ერთად.
გაგიხალისებთ დაბინდულ მზერას
და სულს დაქანცულს მეტად.



*

იძინე, რბილი გაქვს სარეცელი,
საბანი გამჭვირვალე;
გაივლის წელი; ათასი წელი
ლამაზ სიზმრებში მალე.

*

ო, ჩემო კარგო, გეტრფოდე მინდა
უნაზეს გულისცემით...
მიყვარხარ, როგორც ნაკადი წმინდა,
როგორც სიცოცხლე ჩემი...”

და მას ვუსმენდი მე დიდხანს, დიდხანს...
ოქროს თევზისგან წარმოთქმულ სიტყვას,
მეჩვენებოდა, რომ ჩუმი ბგერით
ხმას უერთდება ჩუხჩუხა ჩქერი.
აქ ჩამეძინა... შეშლილის ბოდვა
შეწყდა, სხეული რომ სუსტდებოდა,
ბინა დაედო თვალებში ღამეს.

24

ასეთი მნახეს და ამიყვანეს.
თვითონაც იცი, რაც მოხდა მერე.
მე გავათავე... შენ დამიჯერებ,
თუ არა, ახლა ერთია ჩემთვის...
მე მხოლოდ ფიქრი მაღონებს ერთი:
რომ სხეულს ჩემსას, უსიტყვოს, ცივსა,
მინა ვერ შეჭამს მშობლიურ მთისა.
და ჩემს სამინელ ტანჯვათა თხრობა,

И дух усталый твой.

*

Усни, постель твоя мягка,
Прозрачен твой покров.
Пройдут года, пройдут века
Под говор чудных снов.

*


О милый мой! не утаю,
Что я тебя люблю,
Люблю как вольную струю,
Люблю как жизнь мою...»

И долго, долго слушал я;
И мнилось, звучная струя
Слиwała тихий ропот свой
С словами рыбки золотой.
Тут я забылся. Божий свет
В глазах угас. Безумный бред
Бессилью тела уступил...

24

Так я найден и поднят был...
Ты остальное знаешь сам.
Я кончил. Верь моим словам
Или не верь, мне все равно.





ამ ყრუ კედლებში, სად არ აქვთ გრძნობა,
ვიცი, არავის აღუძრავს ნალველს,
არვინ ახსენებს ჩემს უცნობ სახელს.

25

მშვიდობით, მომეც, მამაო, ხელი;
იგრძენი? ხელში ალი მაქვს მწველი.
ეს ის ცეცხლია, ბავშვობის დროდან
ჩემს გულში ჩუმად რომ ბოხოქრობდა;
იქ დაჰლევია საკვები ახლა
და საპატიმროს კედლები გახრა,
სურს დაუბრუნდეს სივრცეში მასვე,
ვინც ყველას წესით ამქვეყანაზე
ანიჭებს ტანჯვას და განსვენებას...
მე ეს რად მინდა? დე, როგორც ნებაგს,
ღრუბელთა ზემოთ, ედემსა შინა,
სულმა მონახოს თავისი ბინა...
ეჰ, ბნელ, ციცაბო კლდეებთან, მთაში
რომ ვთამაშობდი ოდესღაც ბავშვი,
იმ წუთებისთვის არ მენანება
დავთმო სამოთხე და უკვდავება.

26

როს დამიდგება დრო აღსასრულის, –
მენდე, ახლოა ამოსვლა სულის, –
უბრძანე, ბაღში, სად განაფურჩენი
თეთრ აკაციის დგას ორი ბუჩქი,

Меня печалит лишь одно:
Мой труп холодный и немой
Не будет тлеть в земле родной,
И повесть горьких мук моих
Не призовет меж стен глухих
Вниманье скорбное ничье
На имя темное мое.

25

Прощай, отец... дай руку мне:
Ты чувствуешь, моя в огне...
Знай, этот пламень с юных дней,
Таяся, жил в груди моей;
Но ныне пищи нет ему,
И он прожест свою тюрьму
И возвратится вновь к тому,
Кто всем законной чередой
Дает страданье и покой...
Но что мне в том? - пускай в раю,
В святом, заоблачном краю
Мой дух найдет себе приют...
Увы! - за несколько минут
Между крутых и темных скал,
Где я в ребячестве играл,
Я б рай и вечность променял...

26

Когда я стану умирать,
И, верь, тебе не долго ждать,





მე ჩამასვენონ – იმ ბუჩქებს შორის
 ისე ხშირია შრიალი მოლის!
 ათრთოლებული ფოთოლი სხივზე
 გამჭვირვალეა ოქროსფრად ისე,
 ჰაერიც ფშვინავს ისეთ სურნელით!
 მაშ, ამისრულე ეს სასურველი.
 დე, მტრედისფერი დღის ბრწყინვალეობით
 უკანასკნელად დატკბნენ თვალები...
 იქიდან მოჩანს კავკასიცი წმინდა!
 იქნებ კავკასმაც თვის მწვერვალიდან
 გამოაგზავნოს გრილ ქართან ერთად
 გამოთხოვების სალამი ჩემთან...
 და მშობლიური ხმა უნაზესი
 მე სიკვდილის წინ კვლავ შემომესმის,
 და თითქოს ვიგრძნობ, – თავდახრით მდგარი
 ჩემთან ძმა არი ან მეგობარი,
 რომ მან მომწმინდა მზრუნველი ხელით
 შუბლი, სიკვდილის ცივი ოფლით სველი,
 რომ ის სიმღერას ჩემთვის საამოს
 მშობელ მხარეზე ჩუმი ხმით ამბობს...
 ამნაირ ფიქრით მე განვისვენებ,
 და არავისაც არ შევაჩვენებ!"

1839

დავით გაჩეჩილაძის თარგმანი

Ты перенести меня вели
В наш сад, в то место, где цвели
Акаций белых два куста...
Трава меж ними так густа,
И свежий воздух так душист,
И так прозрачно-золотист
Играющий на солнце лист!
Там положить вели меня.
Сияньем голубого дня
Упыюся я в последний раз.
Оттуда виден и Кавказ!
Быть может, он с своих высот
Привет прощальный мне пришлет,
Пришлет с прохладным ветерком...
И близ меня перед концом
Родной опять раздастся звук!
И стану думать я, что друг
Иль брат, склонившись надо мной,
Отер внимательной рукой
С лица кончины хладный пот
И что вполголоса поет
Он мне про милую страну...
И с этой мыслью я засну,
И никого не прокляну!...»

1839



Содержание

В.С. ШАДУРИ. ЛЕРМОНТОВ В ГРУЗИИ	3
მ.ლერმონტოვი. მწიერი (ნაწყვეტი). ი.ჭავჭავაძის თარგმანი	18
მ.ლერმონტოვი. მწიერი. დ.გაჩეჩილაძის თარგმანი	26
М.Ю. ЛЕРМОНТОВ. МЦЫРИ	27

არჩილ კუხიანიძე

მხატვარი, ანიმატორი.

დაიბადა 1988 წელს თბილისში. დაამთავრა ი.ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი, ფერწერის ფაკულტეტი. მიღებული აქვს მონაწილეობა მინანქრის საერთაშორისო გამოფენებში, ანიმაციური ფილმების ფესტივალებში. თანამშრომლობს სტუდიებთან: «მიფასი ფილმი», ანიმაციური ფილმების სტუდია «ველი», «ტელევეზირი», «ანიმაციის განვითარების ფონდთან».

Арчил КУХИАНИДЗЕ

Художник, аниматор.

Родился в 1988 году в Тбилиси. Окончил художественное училище им. Я.Николадзе, факультет живописи. Участвовал в международных выставках эмалей, фестивалях анимационных фильмов. Сотрудничает со студиями «Мифаси филм», студией анимационных фильмов «Вели», «Телевезири», «Фондом развития анимации».

მზია მჭედლიშვილი

დაიბადა 1960წ. თბილისში.

დაამთავრა შ.რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი – დრამის სარეჟისორო ფაკულტეტი. თბილისის ა. ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. დადგმულ აქვს სპექტაკლები ჭიათურის დრამატულ თეატრში, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში და სხვ. მუშაობს ხატწერაში, მინანქარში. ხატები და მინანქრები დაცულია საქართველოს და უცხოეთის ტაძრებში, მუზეუმებში და კერძო კოლექციებში.

Мзия МЧЕДЛИШВИЛИ

Родилась в 1960 году в Тбилиси. Окончила режиссерский факультет Тбилисского театрального университета им. Ш.Руставели и факультет живописи Тбилисской государственной АХ им. А.Кутателадзе. Осуществила ряд постановок в Чиатурском драматическом театре, Тбилисском ТЮЗ и др.

Работает иконописцем и эмальером. Работы хранятся в музеях, храмах, частных коллекциях Грузии и за рубежом.

Издатель Международный культурно-просветительский Союз «Русский клуб»

М.Ю. Лермонтов МЦЫРИ

Руководитель проекта

Николай Свентицкий

заслуженный деятель искусств РФ

Над изданием работали

Эмзар Квитаишвили

Нина Зардалишвили-Шадури

Александр Сватиков

Наталья Цитланидзе

Алена Деняга

Художники

Арчил Кухианидзе

Мзия Мchedlishvili

Дизайн и компьютерная верстка

Давид Элбакидзе-Мачавариани

Технический редактор

Давид Абуладзе



МЕЖДУНАРОДНЫЙ КУЛЬТУРНО-
ПРОСВЕТИТЕЛЬСКИЙ СОЮЗ «РУССКИЙ КЛУБ»

www.russianclub.ge www.rcmagazine.ge rusculture@mail.ru



Sponsor



МЕЖДУНАРОДНЫЙ КУЛЬТУРНО-
ПРОСВЕТИТЕЛЬСКИЙ СОЮЗ «РУССКИЙ КЛУБ»
www.russianclub.ge www.rcmagazine.ge rusculture@mail.ru

